



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ოქმი: ო63. 6324361001

თარიღი: 26/12/2024

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე სხდომის
ო ქ მ ი N 22

ქ. სამტრედია. 19 დეკემბერი, 2024 წელი.

2024 წლის 19 დეკემბერს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, ვაჟა სტურუას, თავმჯდომარეობით ჩატარდა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, ვალერიანე ფოცხვერია, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ტარიელ ცომიაია, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, დავით ჯანელიძე, გოჩა არველაძე, პაატა კობრეიძე, ჯონი თევზაძე, ბექა თევზაძე, ჯონი ახობაძე, მაია ტალაბაძე, ბადრი შენგელია, ლელა ჩორგოლაშვილი, გრიგოლ ჩიგოგიძე, გიორგი გაგუა, როლანდ ეცადეიშვილი, დავით ნიკოლეიშვილი, აკაკი მინაშვილი, ავთანდილ თადუმაძე, ლაშა გრიგოლია.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება“-ს, ხელმძღვანელი, კობა ბიბილეიშვილი.
2. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ -ს ხელმძღვანელი, ელგუჯა კალაძე.
3. ა.(ა).ი.პ. 'სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის #1 სახელოვნებო სკოლის' ხელმძღვანელი, ირმა შანიძე. ბუღალტერი, ნანული კიკაბიძე.
4. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის #2 სამუსიკო სკოლის“ ბუღალტერი, დარეჯან ლომსაძე.
5. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის“ ბუღალტერი, ნათია ლომინეიშვილი.
6. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის“ ხელმძღვანელი, ნინო ნანობაშვილი. ბუღალტერი, ავთანდილ შენგელია.
7. ა.(ა).ი.პ. 'სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლის~ ხელმძღვანელი, მაია ნიკოლეიშვილი.

8. ა.(ა).ი.პ. „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების“ ხელმძღვანელი, ხათუნა გაგუა. ბუღალტერი, ნინო რუხაძე.
9. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“-ს ხელმძღვანელი, ტატიანა გოგუაძე.
10. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება“-ს ხელმძღვანელი, იზაბელა ლევაშვილი. ბუღალტერი, ლელა ნიკურაძე.
11. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის“ ხელმძღვანელი, სოფიო კირთაძე.
12. შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნე“-ს ხელმძღვანელი, შალვა არზუმანიანი. ბუღალტერი, ლელა ნიკურაძე.
13. ა.(ა).ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი“-ს ბუღალტერი, თემურ გეგუჩაძე.
14. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი, ლევან ახობაძე.
15. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი“-ს ხელმძღვანელი, ვეფხია ნადირაძე. ბუღალტერი, ენძელა პატარიძე.
16. ა.(ა).ი.პ. „საფრენბურთო კლუბი - ჯიკო“-ს წარმომადგენელი, კობა ჯანელიძე.
17. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს ბუღალტერი, სოფიკო სტურუა.
18. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი“-ს ბუღალტერი, ნანა ხუჭუა.
19. ა.(ა).ი.პ. ხელბურთელთა კლუბი „სამტრედია“-ს ხელმძღვანელი, გიორგი ხელისუფალი.
20. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის“ ხელმძღვანელი, ივანე კილტავა.
21. ა.(ა).ი.პ. „რაგბის კლუბი ფენიქსი“-ს ხელმძღვანელი, გურამ ხუჭუა.
22. შ.პ.ს. „სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს ხელმძღვანელი, ალექსანდრე სტურუა.
23. ა.(ა).ი.პ. „სახლი თანადგომ“_ს ხელმძღვანელი, ზემინარ ბოხუა, ბუღალტერი, ნანული კიკაბიძე.
24. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი“-ს წარმომადგენელი ნათია ასლანიშვილი.
25. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, **დავით ბაღდავაძე**. საბიუჯეტო დაგეგმვისა და საფინანსო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი, მედეა ლეჟავა.
26. საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი.
27. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ნატო ჯულაყიძე.

28. გაზეთი „სამტრედიის მაცნე“-ს პასუხისმგებელი მდივანი, ლევან გაბეჩავა.

29. სამტრედიის ტელერადიო კომპანია „ზარი“-ს წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 19 დეკემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის „ბ.ი“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად განიხილა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 19 დეკემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. დამტკიცდეს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 19 დეკემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი:

1. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების“ 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.63233592 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. უღრელიძე./

2. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“-ს 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის NNგ-63.63233593 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. უღრელიძე./

3. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლის“ 2024 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის NNგ-63.63233594 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. უღრელიძე./

4. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის #2 სამუსიკო სკოლის“ 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N Nგ-63.63233595 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. უღრელიძე./

5. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის“ 2024 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63. 63233596 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. უღრელიძე./

6. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის“ 2024 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.63233598 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. უღრელიძე./

7. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლის“ 2024 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.63233599 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. უღრელიძე./

8. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბალები და ბაგა-ბალები) გაერთიანების“ 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის NNგ-63.632335910 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. უღრელიძე./

9. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“-ს 2024 წლის შემოსავლისა და ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის NNგ-63.632335911 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. უღრელიძე./

10. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება“-ს 2024 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის NNგ-63. 632335912 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. უღრელიძე./

11. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის“ 2024 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63. 632335914 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. უღრელიძე./

12. „შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნე“-ს 2024 წლის საგამომცემლო-საწარმოო პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის NNგ-63-632335915 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. უღრელიძე./

13. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი“-ს 2024 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის NNგ.63-632335916 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. უღრელიძე./

14. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2024 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“, 2023 წლის 25 დეკემბრის N Nგ-63.632335917 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. უღრელიძე./

15. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი“-ს 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N Nგ-63.632335918 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. უღრელიძე./

16. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „საფრენბურთო კლუბი - ჯიკო“-ს 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N Nგ-63.632335919 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. უღრელიძე./

17. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს 2024 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის NNგ-63.632335920 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. უღრელიძე./

18. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი“-ს 2024 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის NNგ-63.632335928 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. უღრელიძე./

19. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „ხელბურთელთა კლუბი-სამტრედია“-ს 2024 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N Nგ-63.632335921 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. უღრელიძე./

20. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის“ 2024 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის NNგ- 63.632335922 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. უღრელიძე./

21. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „რაგბის კლუბი ფენიქსი“-ს 2024 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.632335923 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. უღრელიძე./

22. „შ.პ.ს. სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2024 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის NNგ-63.632335924 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. უღრელიძე./

23. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სახლი თანადგომა“-ს 2024 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის NNგ-63.632335925 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. უღრელიძე./

24. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი“-ს 2024 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.632335927 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. უღრელიძე./

25. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის NN23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. უღრელიძე./

26. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეებისათვის განკუთვნილ კორპორაციულ ნომრებზე სააბონენტო გადასახადის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 დეკემბრის NNგ-63.632135728 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. სირბილაძე./

27. ქალაქ სამტრედიაში მდებარე 278.00 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული N1 შენობა-ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.71.893) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლისთვის“, (საიდენტიფიკაციო კოდი-238774448) უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში, გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო **25-მა** წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (**25 ხმით**), დამტკიცდა განკარგულება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის **19 დეკემბრის რიგგარეშე** სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“.

განცხადების უფლება ითხოვა, საკრებულოს წევრმა, ავთანდილ თადუმაძემ. მან აღნიშნა, რომ დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, ვიცით, რომ ამ ქვეყანაში ჩამოშლილია ყველაფერი, ნამდვილად ვერ ჩავთვლით თავს ვალდებულად, რომ დავესწროთ დღევანდელ სხდომას, მონაწილეობა მივიღოთ საკითხების განხილვებში. პროტესტის ნიშნად ვტოვებთ საკრებულოს სხდომას.

აღნიშნულმა განცხადებამ უკმაყოფილება გამოიწვია საკრებულოს წევრებს შორის. გოჩა არველაძემ რიტორიკული კითხვით მიმართა საკრებულოს ოპოზიციურ წევრებს: „ნებისმიერი არჩევნები, რომელის 2012 წლიდან ჩატარდა, არც ერთი არ გიღიარებიათ. ყველა არჩევნებზე თქვენ ამბობდით, რომ ეს იყო ძალადობით, მოსყიდვით და გაყალბებით ჩატარებული არჩევნები. 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, 2021 წლის 3 დეკემბრის საკრებულოს პირველ სხდომას თქვენ დაესწართ და როდესაც საკრებულომ მეხუთე მოწვევის საკრებულოს წევრების უფლებამოსილება ცნო, თქვენ პროტესტის ნიშნად დატოვეთ საკრებულო. თუ ეს არჩევნები გაყალბებით იყო ჩატარებული, კეთილი უნდა გენებათ და თქვენი უფლებამოსილება არ უნდა გეცნოთ, არც ხელფასი არ უნდა აგელოთ. თქვენმა პარტიამ საპარტლამენტო არჩევნების შემდგომ, თითქოს დატოვა პარლამენტი, არ მიიღეს მონაწილეობა საპარლამენტო მუშაობაში. მაგრამ დადგა მომენტი, შევიდნენ პარლამენტში და მოითხოვეს არა მარტო ხელფასები, არამედ სახელფასო ნაცდური. თქვენ გუნდს და რადიკალურ ოპოზიციას, თქვენი პარტიის არც ერთ წევრს, არ ჩავიტარებიათ შეხვედრა მოსახლეობასთან. არც ერთი დანაპირები არ შეგისრულებიათ. თქვენი პარტია საერთოდ არ უნდა იჯდეს არც ერთ საკრებულოში.“

მანანა სირბილაძე - ბატონო ოპოზიციონერებო! აი, თქვენი ჩვეულებრივი მდგომარეობა. ან არ ესწრებით საკრებულოს სხდომებს, ან ფეხზე დგახართ და გარბიხართ. არასდროს გცალიათ თქვენი მოვალეობის შესასრულებლად. არადა მოსახლეობამ სწორედ იმიტომ მოგცათ ხმა და განდოთ მანდატები, რომ აქ მოგეტანათ მათი პრობლემები და წუხილები. თქვენ კი, არც საკრებულოს სხდომებში იღებთ მონაწილეობას, არც კომისიურ და არც ბიუროს შემადგენლობაში. დაასახელეთ თუნდაც ერთი წინადადება ან ინიციატივა, რომელიც გააუღერეთ, ან შესთავაზეთ ადგილობრივ ხელისუფლებას და რაზეც თქვენ უარი გეთქვათ. ვერაფერს იტყვით, რადგან ასეთს სამი წლის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია. მინდა მოგმართოთ თქვენ, ძვირფასო სამტრედიელებო, სულ რაღაც ათ თვეში გველის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და ისევ მოგიწევთ გააკეთოთ თქვენი არჩევანი. ამიტომ, ვიდრე არჩევანს გააკეთებთ დაფიქრდით, არიან თუ არა ეს ადამიანები თქვენი ნდობის ღირსნი. იმსახურებენ თუ არა ისინი თქვენგან აღიჭურვონ ნდობის მანდატით საკრებულოში, ისევ ოთხი წლის ვადით და ისევ არაფრის კეთებით.

ავთანდილ თადუმაძე - ვინაიდან არჩევნების გაყალბებას ეხებოდა საკითხი და მინდა ავლნიშნო ერთი ფაქტი. ბატონ ტარიელ ცომიას საცხოვრებელ კორპუსში ცხოვრობს ორი ადამიანი, რომლებმაც არჩევნების დროს მონაწილეობა მიიღეს კარუსელში. დილით მოაკითხეს სამარშრუტო ტაქსით, 17 კაცი ჩასვეს შიგ, თანხა გადაუხადეს, შემოატარეს ქუთაისი, თერჯოლა და ზესტაფონი. ბატონო ტარიელ, ამ ფაქტის სისწორეში თავად შეგიძლიათ დარწმუნდეთ, თუ შეკითხვას დაუსვავთ ბატონ გენოს.

ტარიელ ცომიამ უპასუხა - მოგახსენებთ რა შეცდომა დაუშვით და რატომ ვერ გამოიყვანეთ მიტინგზე ხალხი, ე.წ. „გაყალბებული არჩევნების“

გასაპროტესტებლად. თქვენ გადაამზადეთ 30 ათასამდე კაცი. 10 ათასი კაცი უშუალოდ ღებულობდა მონაწილეობას არჩევნებში დამკვირვებლებად. ადამიანები, რომლებმაც არ იცოდნენ როგორ ტარებოდა არჩევნები, ჩახედული არ იყვნენ შიდა სამზარეულოში, თქვენს ტელევიზიებთან ერთად გვარწმუნებდნენ იმაში, რომ არჩევნები უბრალოდ ვერ გაყალბდებოდა. ყველა საარჩევნო უბანზე იყო ვიდეო კამერები. თანამდეროვე ტექნოლოგიები იძლევა საშუალებას თვალყური ვადენოთ საარჩევნო პროცესებს. თუ თქვენ შეძლებთ და მოიტანთ ორ ისეთ ვიდეო ფაქტს, სადაც ფიქსირდება, რომ ერთი და იგივე ადამიანი საარჩევნო პროცესში ორ სხვადასხვა უბანზე აძლევს ხმას. მაშინ დაგეთანხმებით, რომ არჩევნები ჩატარდა გაყალბებით. მაგრამ თქვენ მხოლოდ საუბრის და თეორიის დონეზე, ყოველ საკრებულოზე საუბრობთ არჩევნების გაყალბებაზე, თუმცა არც ერთი ფაქტი არ გაგაჩნიათ.

ვაჟა სტურუა - კოლეგებო, დარწმუნებული ვარ საზოგადოება სწორად შეაფასებს იმ ფაქტს, რაც დღევანდელ დღეს მოხდა. ოპოზიციამ პასუხი მიიღო. მათ აქვთ აბსურდული ბრალდებები, რომელსაც ყოველ სხდომაზე გამოთქვამენ და ტოვებენ საკრებულოს სხდომას. მათ ბრალდებებს არა აქვს კანონიერი სახე, ფიზიკურად არ შეუძლიათ არც ერთი ფაქტის წარმოდგენა და დასაბუთება. მინდა ავღნიშნო, რომ ნარატივი, რომელიც გაავრცელეს ჩვენი საკრებულოს ოპოზიციურმა წარმომადგენლებმა, ეს არის დავალება ზევიდან, რომელსაც ისინი იღებენ სხვადასხვა სახელმწიფოს მიერ შექმნილი ჯგუფებიდან. სამწუხაროა როცა ქართველი, ქრისტიანი ადამიანი, ეკლესიას, პატრიარქს ლანძღავს და მოიხსენიებს სასულიერო პირებს ისე, როგორც ჩვენ ვნახეთ ტელევიზიით. ეს არის ძალადობრივი ჯგუფები, ძალადობრივი ადამიანების მიერ მართული შეხვედრები, რასაც ისინი აორგანიზებენ. ყველა შეგნებული ადამიანი რეალურად საზღვრავს, რაც ხდება ჩვენს ქვეყანაში. მინდა მშვიდობა და წარმატებები ვუსურვო ქართველ ხალხს, სრულიად საქართველოს. დარწმუნებული ვარ, ევროკავშირში შევალთ, როგორც ქართველ კაცს, ქართველ ქრისტიანს, ტრადიციულ ერს შეეფერება. საქართველო იქნება გაბრწყინებული. მადლობა თითოეულ თქვენთაგანს.

საკრებულოს სხდომა, პროტესტის ნიშნად, დატოვეს: ავთანდი თადუმაძემ, აკაკი მინაშვილმა, დავით ნიკოლეიშვილმა.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის **კომუნალური გაერთიანების**“ 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.63233592 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 12 დეკემბრის N 62-622434745** წერილობითი მომართვა რომელიც ეხება, ა.ა.ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის **კომუნალური გაერთიანება**“-ს 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, საქონელი და მომსახურების გეგმა მცირდება 42.8 ათ.ლარით და შესაბამისად, შრომის ანაზღაურების გეგმა იზრდება 42.8 ათ.ლარით (ჯილდო, პრემია).

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო **22-მა** წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (**22 ხმით**), დამტკიცდა განკარგულება, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის **კომუნალური გაერთიანების**“ 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.63233592 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, „არასამეწარმეო

(არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის **გამწვანებისა და კეთილმოწყობის** გაერთიანება“ -ს 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N გ-63. 63233593 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 12 დეკემბრის** N62-622434728 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.ა.ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის **გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება**“-ს 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში. კერძოდ, საქონელი და მომსახურების ხარჯის გეგმა მცირდება 17.8 ათ.ლარით და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯის გეგმა 1.0 ათ.ლარით, სულ 18.8 ათ.ლარით. შესაბამისად, იზრდება შრომის ანაზღაურების ხარჯის გეგმა 18.8 ათ.ლარით (ჯილდო/პრემია).

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო **22-მა** წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (**22 ხმით**), დამტკიცდა განკარგულება, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის **გამწვანებისა და კეთილმოწყობის** გაერთიანება“ -ს 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N გ-63. 63233593 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის **N1 სახელოვნებო სკოლის**“ 2024 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.63233594 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 12 დეკემბრის** N62-622434760 წერილობითი მომართვა რომელიც ეხება, ა.ა.ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი **შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლა**“-ს 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, საქონელი და მომსახურების მუხლში თანხა მცირდება (საოფისე ავეჯის ხარჯის 1.0 ათ.ლარით და ელექტრო-ენერჯის ხარჯის 0.3 ათ.ლარით) სულ 1.3 ათ.ლარით. შესაბამისად, შრომის ანაზღაურების მუხლში, თანამდებობრივი სარგო, თანხა იზრდება 1.3 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო **22-მა** წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (**22 ხმით**) დამტკიცდა განკარგულება, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის **N1 სახელოვნებო სკოლის**“ 2024 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.63233594 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის **N2 სამუსიკო სკოლის**“ 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N გ-63.63233595 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 12 დეკემბრის** N 62-622434730 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.ა.ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის **N2 სამუსიკო სკოლა**“-ს 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში. სუბსიდიის გეგმა იზრდება 1.7 ათ.ლარით, შესაბამისად, შრომის ანაზღაურების მუხლში თანხა იზრდება (ჯილდო/პრემია) 1.7 ათ.ლარით. ასევე ხორციელდება მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, საქონელი და მომსახურების მუხლში თანხა მცირდება 0.1 ათ.ლარით, შესაბამისად, შრომის ანაზღაურების მუხლში თანხა იზრდება (ჯილდო/პრემია) 0.1 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა განკარგულების პროექტი

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო **22-მა** წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (**22 ხმით**), დამტკიცდა განკარგულება, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის **#2 სამუსიკო სკოლის**“ 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N გ-63.63233595 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ **დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის**“ 2024 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის № გ-63233596 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელმა გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 12 დეკემბრის** N 62-622434738 წერილობითი მომართვა რომელიც ეწევა, ა.ა.ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის **დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა**“-ს 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. 2024 წლის ბიუჯეტი იზრდება 1.9 ათ.ლარით. აღნიშნული თანხით, შრომის ანაზღაურების მუხლში თანხა იზრდება (ჯილდო/პრემია) 1.9 ათ.ლარით და სუბსიდია განისაზღვრება 97.3 ათ.ლარით. ასევე ხორციელდება მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, საქონელი და მომსახურების მუხლში თანხა მცირდება 0.2 ათ.ლარით, შესაბამისად, შრომის ანაზღაურების მუხლში თანხა იზრდება (ჯილდო/პრემია) 0.2 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო **22-მა** წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (**22 ხმით**), დამტკიცდა განკარგულება, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ **დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის**“ 2024 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის № გ-63233596 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა **კულაშის სამუსიკო სკოლის**“ 2024 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №გ-63.63233598 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

მომხსენებელმა გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 12 დეკემბრის** N62-622434731 წერილობითი მომართვა რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა **კულაშის სამუსიკო სკოლის**“ 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. 2024 წლის სუბსიდიის გეგმა იზრდება 0.9 ათ.ლარით. შესაბამისად, შრომის ანაზღაურების გეგმა გაიზრდება 0.9 ათ.ლარით (მ/წლის ჯილდო/პრემია).

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო **22-მა** წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (**22 ხმით**), დამტკიცდა განკარგულება, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა **კულაშის სამუსიკო სკოლის**“ 2024 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №გ-63.63233598 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ **ტოლების სამუსიკო სკოლის**“ 2024 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №გ-63.63233599 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 12 დეკემბრის** N62-622434748 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.(ა).ი.პ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის **ტოლების სამუსიკო სკოლა**“-ს 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში. 2024 წლის სუბსიდიის გეგმა იზრდება 1.1 ათ.ლარით. შესაბამისად, შრომის ანაზღაურების მუხლში (ჯილდო/პრემია) თანხა იზრდება 1.1 ათ.ლარით. ასევე, ხორციელდება მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, არაფინანსური აქტივის მუხლში თანხა მცირდება 0.3 ათ.ლარით; შრომის ანაზღაურების მუხლში (ჯილდო/პრემია) თანხა იზრდება 0.1 ათ.ლარით და საქონელი და მომსახურების მუხლში 0.2 ათ.ლარით (შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება).

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო **22-მა** წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (**22 ხმით**), დამტკიცდა განკარგულება, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ **ტოლების სამუსიკო სკოლის**“ 2024 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №გ-63.63233599 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დღის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბალები და ბაგა-ბალები) გაერთიანების“ 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.632335910 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 12 დეკემბრის N62-622434727** წერილობითი მომართვა რომელიც ეხება, ა.ა.ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბალები და ბაგა-ბალები) გაერთიანება“-ს 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. 2024 წლის ბიუჯეტი იზრდება 174.5 ათ.ლარით. კერძოდ, შრომის ანაზღაურების მუხლში (ჯილდო/პრემია) თანხა იზრდება 162.5 ათ.ლარით, საქონელი და მომსახურების ხარჯის მუხლში (შტატგარეშე თანამშრომელთა ჯილდო/პრემია) 12.0 ათ.ლარით. ასევე ხორციელდება მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, სხვა ხარჯების მუხლში თანხა მცირდება 1.0 ათ.ლარით; არაფინანსური აქტივის მუხლში 2.0 ათ.ლარით. შესაბამისად, საქონელი და მომსახურების ხარჯის მუხლში თანხა იზრდება 3.0 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო **22-მა** წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (**22 ხმით**), დამტკიცდა განკარგულება, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბალები და ბაგა-ბალები) გაერთიანების“ 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.632335910 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის IX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის **მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი**“-ს 2024 წლის შემოსავლისა და ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.632335911 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 12 დეკემბრის N 62-622434747** წერილობითი მომართვა რომელიც ეხება, ა.ა.ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის **მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი**“-ს 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, სუბსიდიის გეგმა იზრდება 3.4 ათ.ლარით და განისაზღვრება 317.4 ათ.ლარით. შესაბამისად, ხარჯებში შრომის ანაზღაურების მუხლში თანხა იზრდება 3.4 ათ.ლარით (ჯილდო/პრემია). ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილება. არაფინანსური აქტივების გეგმა მცირდება 2.4 ათ.ლარით; სოციალური უზრუნველყოფის გეგმა 0.2 ათ.ლარით, სულ 2.6 ათ.ლარით. შესაბამისად, ხარჯებში შრომის ანაზღაურების მუხლში თანხა იზრდება 2.6 ათ.ლარით (ჯილდო/პრემია). ასევე მოწესრიგდება საკუთარი შემოსავლები. კერძოდ, საკუთარი შემოსავლები იზრდება 0.5 ათ.ლარით და განისაზღვრება 16.5 ათ.ლარით. აღნიშნული თანხით იზრდება საქონელი და მომსახურების მუხლი, ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) მუხლი 0.5 ათ.ლარით. აღნიშნული მომსახურება განსაზღვრულია, შემოქმედებითი ჯგუფების გასვლითი საახალწლო ღონისძიებებში ჩართულობისათვის.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო **22-მა** წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (**22 ხმით**), დამტკიცდა განკარგულება, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის **მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი**“-ს 2024 წლის შემოსავლისა და ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.632335911 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის X საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ ულრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის **საბიბლიოთეკო გაერთიანება**“-ს 2024 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63. 632335912 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

